B გარემოში ქცევის ზოგადი წესები

კოლეჯი უზრუნველყოფს თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნას. აუდიტორიები აღჭურვილია პროგრამის შესაფერისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით. რესურსის გამოყენებისას დაუშვებელია რაიმეს თვითნებურად აღება, მოდულის განმახორციელებელი პირის გარეშე. ლექციის დასრულების შემდგომ რესურსი უნდა დაუბრუნდეს სათანადო ადგილას, მოწესრიგდეს სასწავლო/სამუშაო სივრცე.

აუდიტორიაში განთავსებული საოფისე აღჭურვილობა არ უნდა იყოს დაფარული ქაღალდებით, ტანსაცმლით და სხვა უცხო საგნებით;

ელექტრომოწყობილობების ექსპლუატაცია ხდება შეფუთვის გადასაფარებლების და პანელების მოხსნის შემდეგ,დაუშვებელია აალებადი მასალების გამოყენება ელექტრო ნათურებისა და მოწყობილობების დასაფარავად;

აუდიტორიაში უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის სისტემატიურად ხორციელდება ელექტრო გაყვანილობისა და ელექტრომოწყობილობების შემოწმება, აკრძალულია ელექტროგაყვანილობისა და კაბელების გამოყენება აშკარა იზოლაციის გაუმართაობით და სხვა დაზიანებით;

პანდემიის პირობებში სტუდენტების განლაგება უნდა მოხდეს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს მოსარგებლეთა შორის უსაფრთხო დისტანციის დაცვა;

კოლეჯის ქონების დაცვა, მოვლა-პატრონობა სავალდებულოა კოლეჯის ყველა თანამშრომლისა და პროფესიული სტუდენტისათვის;

აუდიტორიაში აკრძალულია:

- ✓ მოწევა;
- ✓ ხმაური და საუბარი;
- ✓ ლექციის დროს მობილური ტელეფონების გამოყენება;
- ✓ სასწავლო მასალების/რესურსების ქურდობა, დაზიანება;
- ✓ ინვეტარის/მასალის დაუკითხავად აღება;
- ✓ ინვეტარის/მასალის გატანა აუდიტორიიდან.

აღნიშნული წესებისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, მოდულის განმახორციელებელ პირი/ადმინისტრაციის თანამშრომელი უფლებამოსილია პროფესიულ სტუდენტს მისცეს გაფრთხილება.

აუდიტორიაში ნებადართულია ბოთლში ჩამოსხმული წყლის ქონა;

აუდიტორიაში არსებული კომპიუტერული ტექნიკა და ინტერნეტი, მატერიალურ -ტექნიკური რესურსი სასწავლო- საინფორმაციო დანიშნულებისაა.

არ შეიძლება:

ა) კომპიუტერული რესურსებით არადანიშნულებისამებრ სარგებლობა (ასეთად ჩაითვლება

სხვადასხვა გასართობი, სათამაშო, ინტიმური შინაარსის ვებ-გვერდებით სარგებლობა, თამაშების და სხვა მსგავსის ჩამოტვირთვა, კომპიუტერული ტექნიკის კონფიგურაციის შეცვლა და სხვა);
ბ) კომპიუტერში თვითნებურად რაიმე პროგრამული ფაილის ჩაწერა და წაშლა;
გ) კომპიუტერის გაუმართავად მუშაობის შემთხვევაში დაუშვებელია ხარვეზის თვითნებურად გასწორება. აღნიშნულის შესახებ უნდა ეცნობოს მოდულის განმახორციელებელ პირს/IT სპეციალისტს/მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერს.

კომპიუტერთან მუშაობის ზოგადი წესები:

კომპიუტერთან მუშაობისას აუცილებელია დავიცვათ წესები და ის ნორმატივები, რაც საშუალებას მოგვცემს, თავიდან ავირიდოთ სხვადასხვა ფუნქციური და ორგანული დარღვევების განვითარება.

მონიტორის ქვედა კიდე ოდნავ წინ უნდა გახლდეთ წამოწეული; სკამი, რომელზეც ზის სტუდენტი უნდა იყოს კომფორტული; კისერი და ხერხემალი ერთ დონეზე უნდა იყოს ჯდომის დროს, ტერფი აუცილებლად ეხებოდეს იატაკს. ლექციებს შორის სავალდებულოა შესვენება.

აუცილებელია ყოველ 20-30 წთ.-ში ჩავატაროთ სპეციალური თვალის ვარჯიშები. გადავიტანოთ მზერა კომპიუტერის მონიტორიდან და თვალის კაკლის მოძრაობით აქეთ-იქით გავავარჯიშოთ მხედველობის ორგანო. ასევე, საჭიროა ფიზიკური ვარჯიშების ჩატარება ყოველ 1 საათში მარტივი სახსრის მოძრაობით.

ლექციებს შორის უნდა უზრუნველყოთ აუდიტორიის განიავება;

აკრძალულია აუდიტორიაში ჭუჭყიანი ფეხსაცმლითა და ტანსაცმლით, ჭუჭყიანი ნივთებით. ბინძური ხელებით კომპიუტერზე მუშაობა.

კომპიუტერთან მუშაობის დაწყებამდე:

შეამოწმეთ სამუშაო ადგილი, გადმოფერთხეთ/ამოიღეთ კლავიატურიდან უცხო ობიექტები, შეამოწმეთ, რომ კომპიუტერის ყველა მოწყობილობა სწორადაა დაკავშირებული ერთმანეთთან;

შეამოწმეთ კომპიუტერის/აქსესუარების კაბელების იზოლაციის მთლიანობა;

დარწმუნდით, რომ ეკრანზე და კლავიატურაზე არ არის ანარეკლი (მბზინვარება);

საჭიროების შემთხვევაში გაასუფთავეთ ეკრანის ზედაპირი სპეციალური ქსოვილით;

შეამოწმეთ მაგიდის, სკამის პოზიცია; საჭიროების შემთხვევაში, შეცვალეთ პოზიცია ისე, რომ გამოირიცხოს არასასიამოვნო პოზები და სხეულის ხანგრძლივი დაძაბულობა;

დარწმუნდით, რომ მონიტორიდან თვალებამდე მანძილი არ არის 600-700 მმ-ზე მეტი, მაგრამ 500 მმ-ზე უფრო ახლოს, ალფანუმერული ზომის გათვალისწინებით;

ყურადღება მიაქციეთ, ხომ არ არის კომპიუტერის ეკრანზე რაიმე გამაფრთხილებელი ნიშნები და სიმბოლოები. ასეთის არსებობის შემთხვევაში შეატყობინეთ მოდულის განმახორციელებელ პირს;

კომპიუტერის ანპერიფერიული მოწყობილობების გაუმართაობის შემთხვევაში აუცილებელია დაუყოვნებლივ აცნობოთ მოდულის განმახორციელებელ პირს(მასწავლებელს) გამოვლენილი ხარვეზების შესახებ. ნუ დაიწყებთ მუშაობას პრობლემის მოგვარებამდე.

შრომის დაცვის მოთხოვნები კომპიუტერთან მუშაობის დროს

1.დარწმუნდით, რომ მოწყობილობა სწორად არის ჩართული:
- ჩართეთ ელექტროენერგიის მიწოდება;
- ჩართეთ პერიფერიული მოწყობილობები (პრინტერი, მონიტორი, სკანერი და ა.შ.);
- ჩართეთ პროცესორი.
2. შეასრულეთ მხოლოდ მოდულით გათვალისწინებული სამუშაო;
3. გამოიყენეთ შესვენებები, ნუ იმუშავებთ კომპიუტერთან შესვენებების დროს, რათა უზრუნველყოთ თვალის და სხეულის დასვენება;
4. შეწყვიტეთ კომპიუტერთან მუშაობა თუ იგრძენით თავის/თვალების ტკივილი, ხილვადობის მკვეთრი გაუარესება, გულისცემის გახშირება. აღნიშნულის შესახებ შეატყობინეთ მასწავლებელს;
5. თუ გაიგეთ უჩვეულო ხმა, იგრძენით დამწვრის სუნი ან მოხდა კომპიუტერის უნებლიე გამორთვა დაუყოვნებლივ შეწყვიტეთ მუშაობა და ამის შესახებ აცნობეთ მასწავლებელს.

სამუშაოს დასრულებისთანავე

1. გამორთეთ აღჭურვილობა სწორი თანმიმდევრობით:
- დახურეთ ყველა აქტიური დავალება;
- დარწმუნდით, რომ დისკის წამკითხველში არ არის დისკები; გარე მეხსიერების საშუალებები (ფლეშ დრაივები) გამორთულია და გათიშულია;
- გამორთეთ პროცესორი წესის დაცვით;
- გამორთეთ ყველა პერიფერიული მოწყობილობის ელექტრომომარაგება;
- გამორთეთ კომპიუტერის ზოგადი დენის მიწოდება;
2. მოაწესრიგეთ თქვენი სამუშაო ადგილი;
3. გააკეთეთ ვარჯიშები თვალებისა და თითების დასასვენებლად; დაიბანეთ ხელები და სახე წყლით;